რა არის ფიქსირებული გადასახადი?

თუ თქვენ ეწევით თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის, შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის, სახის მასაჟის, წარბების კორექციის, ეპილაციის, დეპილაციის, მანიკიურის, პედიკიურის მომსახურებას, საქმიანობის ამ ნაწილში უფლება გაქვთ, საშემოსავლო/მოგების გადასახადის ნაცვლად გადაიხადოთ ფიქსირებული გადასახადი.

რამდენია ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი?

- თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის, შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის, სახის მასაჟის, წარბების კორექციის, ეპილაციის, დეპილაციის მომსახურების გაწევის შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი შეადგენს თვეში ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა/სავარძელი) 50 ლარს;

- მანიკიურისა და პედიკიურის მომსახურების გაწევის შემთხვევაში ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი შეადგენს თვეში ერთ სამუშაო ადგილზე (სკამი/მაგიდა) 30 ლარს.

რა შეღავათებით სარგებლობს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი?

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მიღების შემთხვევაში:

- საქმიანობის ამ ნაწილში გათავისუფლდებით საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან;
- გათავისუფლდებით შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის - ბუღალტერიის წარმოების, ვალდებულებისაგან;
- გათავისუფლდებით საშემოსავლო/მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან;
- თუ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გადააჭარბებს 100 000 ლარს, არ დაგეკისრებათ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება;

- თუ წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ზამთარში, ზაფხულში ან სხვა სეზონზე) შეაჩერებთ საქმიანობას, უნდა აცნობოთ შემოსავლების სამსახურს. საქმიანობის შეჩერების პერიოდში არ დაგეკისრებათ ფიქსირებული გადასახადის გადახდის ვალდებულება.

რა შეზღუდვები გააჩნია ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს?

- თუ თქვენ ხართ დღგ-ის გადამხდელი, ვერ მიიღებთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსს;
- სხვა პირი ვერ ჩაითვლის თქვენ მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯს, შესაბამისად, ვერ გამოიყენებს თქვენ მიერ გამოწერილ ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს.

როგორ დავიბეგრები დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში?

თუ თქვენ დამატებით ახორციელებთ სხვა საქმიანობას, დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ვალდებული ხართ, საშემოსავლო/მოგების გადასახადი გადაიხადოთ საერთო წესით. ამასთან, დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში უფლება გაქვთ, დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში მიიღოთ მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსი.

როგორ უნდა მოვიქცე, თუ მაქვს მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი?

თუ თქვენ სარგებლობთ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსით, უფლება გაქვთ:

- მიმართოთ შემოსავლების სამსახურს საქმიანობის ამ ნაწილში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით და მიიღოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ან
- შეინარჩუნოთ მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი.

როგორ უნდა მივიღო ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი?

- თქვენ უფლება გაქვთ, აირჩიოთ: გადაიხადოთ საშემოსავლო/მოგების გადასახადი საერთო წესით ან გადაიხადოთ ფიქსირებული გადასახადი.
- ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მიღების მიზნით განცხადებით უნდა მიმართოთ შემოსავლების სამსახურს. აღნიშნული შესაძლებელია ელექტრონული ფორმით შემოსავლების სამსახურში მიუსვლელად ან ადგილზე საგადასახადო ოფიცრის მეშვეობით.
- თქვენ უფლება გაქვთ, ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით შემოსავლების სამსახურს მიმართოთ წლის ნებისმიერ თვეს.

როგორ უნდა გადავიხადო ფიქსირებული გადასახადი?

- ფიქსირებული გადასახადი უნდა გადაიხადოთ წინასწარ, თვის დაწყებამდე.
- სამუშაო ადგილის (სკამი/მაგიდა/სავარძელი) რაოდენობის გაზრდის/შემცირების შემთხვევაში ვალდებული ხართ, აცნობოთ შემოსავლების სამსახურს.